ცხადდება წინასწარი შერჩევა
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პერსონალისთვის ერაზმუს+ პროგრამის ფარგლებში ბურგოსის უნივერსიტეტში (ესპანეთის სამეფო)
პერსონალის საერთაშორისო კვირეულში მონაწილეობისთვის და გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციაზე დასაქმებული ადმინისტრაციული პერსონალისთვის ვიგოს უნივერსიტეტში (ესპანეთის სამეფო) ადმინისტრაციული მობილობის განსახორციელებლად!

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ***თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ესპანისტიკის/ესპანური ფილოლოგიის მიმართულების აკადემიურ პერსონალს და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტში გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციაზე დასაქმებულ ადმინისტრაციულ პერსონალს.***

მობილობის ხანგრძლივობა: 5 სამუშაო დღე + არაუმეტეს 2 დღისა მგზავრობისთვის

- 7-11 ოქტომბერი, 2024 (ბურგოსის უნივერსიტეტის შემთხვევაში)

ნომინანტთა შესარჩევი პროცესი:

- სააპლიკაციო დოკუმენტაციის შემოწმება (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
- გასაუბრება კანდიდატთა შესარჩევ კომისიასთან (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
- საბოლოო შერჩევა (მასპინძელი უნივერსიტეტი)

სააპლიკაციო დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

1. პასპორტის ასლი;
2. ცნობა სამსახურიდან (ინგლისურ ენაზე);
3. **CV ინგლისურ** ენაზე https://europa.eu/europass/en/create-europass-cv
4. სარეკომენდაციო წერილი (ინგლისურ ენაზე);
5. შევსებული სამუშაო გეგმა ინგლისურ ენაზე, (დანართი 1);
6. სააპლიკაციო ფორმა (დანართი 2) ბურგოსის უნივერსიტეტის შემთხვევაში;

კონკურსში მონაწილეობით დაინტერესებული რელევანტური მიმართულების აკადემიურმა და ადმინისტრაციულ პერსონალმა სააპლიკაციო დოკუმენტაციის სრული ჩამონათვალი (PDF ფორმატში) უნდა გამოგზავნოს ელ-ფოსტაზე outgoingmobility@tsu.ge **მიმდინარე წლის 15 ივნისის 14 საათამდე (თბილისის დროით)!** გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ გამოგზავნილი განაცხადის შეცვლა ან/და ატვირთული დოკუმენტ(ებ)ის გამოცვლა შეუძლებელია.

გასაუბრების დრო, თარიღი და ადგილი ინდივიდუალურად დაეგზავნება ყველა აპლიკანტს პირად ელ-ფოსტაზე; გასაუბრება ტარდება ცოცხალ რეჟიმში.

კითხვების შემთხვევაში, დაუკავშირდით საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს ელ-ფოსტაზე outgoingmobility@tsu.ge